საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

b r Z a n e b a № 1/466

ქ. თელავი **11 სექტემბერი 2014წ.**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ “ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ-ე ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის“- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-7 მუხლის და მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტის, „უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ“ დებულების მე-19 მუხლისა და მე-20 მუხლის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 9 სექტემბრის ოქმი N25 საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები 2014 წლის 26 სექტემბერს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა (3 წევრის) უფლებამოსილების ვადის (2014 წლის 26 სექტემბერი) გასვლასთან დაკავშირებით შემდეგ ფაკულტეტებზე:

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი -1 ადგილი
ბ) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი - 1 ადგილი
გ) განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი - 1 ადგილი

2. განისაზღვროს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
ა) ჯუმბერ მაილაშვილი - იურიდიული სამსახურის უფროსი.
ბ) თამილა ნადირაძე - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
გ) ია კევლიშვილი - ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის II კურსის დოქტორანტი.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2014 წლის 12 სექტემბერს დილის 10:00-დან და დასრულდეს 2014 წლის 25 სექტემბერს (10 სამუშაო დღე) 17:00 საათზე;
4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
5. დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს (თ. ხოტენაშვილს) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთნავე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დ. აღმაშენებლის N 41).

უნივერსიტეტის რექტორი ავთანდილ ღელაღუტაშვილი